

## თიბათინ ღვინები

### პარონიმია თანამედროვე ჩართულ გეტზვახმარებაში

სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევები სხვადასხვაგვარი ზა-  
სიათისაა. მაგალითად, ყველაზე უფრო თვალში საცემია ორთოგრაფი-  
ული და მორფოლოგიური ხასიათის დარღვევები, რომლებიც შედა-  
რებით ადვილად მოსავლელია, რამდენადაც მათი აღნუსხვა გარკვეული  
წესების საშუალებით და ორთოგრაფიული ლექსიკონით მოსახერხებე-  
ლია. ამ წესებიდან გადახვევა აღიქმება უხეშ შეცდომად და, ამდე-  
ნად, შედარებით ადვილად გამოსასწორებელია. როულია და ძნელი გა-  
სატარებელი თუ დასაცავი ლექსიკურ-სტილისტიკური და სინტაქსურ-  
სტილისტიკური ნორმები<sup>1</sup>, ხოლო მათი მოწესრიგება და მათი დანერ-  
გვისათვის ბრძოლა ისევე აუცილებელია, როგორც სხვა შემთხვე-  
ვებში.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა ერთიანი და ხან-  
გრძლივი ისტორიის მქონე სისტემაა, რომელიც განიცდის მუდმივ გან-  
ვითარებას გრამატიკულ-ორთოგრაფიულ თუ ლექსიკურ ნორმათა  
თვალსაზრისითაც და ფუნქციის თვალსაზრისითაც. ორთოგრაფიულ-  
მორფოლოგიური ნორმების გვერდით ყალიბდება სინტაქსურ-სტილის-  
ტიკური და ლექსიკურ-სტილისტიკური ნორმებიც. სულ უფრო გამო-  
ქვეთილი ხდება მხატვრული სტილის თავისებურებანი პუბლიცისტუ-  
რის, კანცელარულისა თუ სამეცნიერო სტილისაგან განსხვავებით.

სტილისტიკური დიფერენციაცია ეხება ლექსიკასაც. „ქართული  
ენის განმარტებით ლექსიკონში“ წარმოდგენილია სიტყვათა ფუნქ-  
ციურ-სტილისტიკურ დახასიათებასთან ერთად ფუნქციურ-ექსპრესი-  
ული დახასიათებაც, როცა ლექსიკურ ერთეულებს საჭირო შემთხვე-

<sup>1</sup> Бельчиков Ю. А., О нормах литературной речи, «Вопросы культуры речи», вып. 6, М., 1965, гл. 6—15; თიბათინ ღვინები: Лексическая стилистика, М., 1977, гл. 11—14.

ვაში მიწერილი აქვს: წიგნური, სპეციალური, კანცელარული, კუთხური, ვულგარული, სასაუბრო, გადატ. და ა. შ.

ლექსიკონში მთავარი ადგილი უკავია ნეიტრალურ სიტყვებს, რომელიც არანაკლებ გამომსახველია. ნეიტრალური სიტყვის გამოძახველობით შესაძლებლობანი კონტექსტში სულ სხვადასხვა ნიუანსით შეიძლება იყოს გახსნილი, რაც მომხმარებლის ინტელექტზე, განათლებაზე, ოსტატობაზეა დამოკიდებული. ნეიტრალურ სიტყვებს უპირისპირდება წიგნური და სასაუბრო სიტყვები, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განიჩრევა. წიგნური ლექსიკა დამახასიათებელია უფრო ამაღლებული, საზეიმო, პოეტური სტილისათვის. წიგნური ლექსიკის ერთი სფეროა ოფიციალური ლექსიკაც, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ტერმინოლოგიური, იურიდიკულ-დიპლომატიური ლექსიკაც. წიგნურობა მჟღავნდება სიტყვაწარმოებაშიც.

სასაუბრო ლექსიკა ენაში უფრო დაქვეითებული ემოციურობით ხასიათდება, ოღონდაც ეს მის უარყოფით შეფასებას ვერ გამოიწვევს. ზეპირი მეტყველებაა სასაუბრო ლექსიკის ფუნქციონირების ბუნებრივი სფერო, მაგრამ იგი ფართოდ გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაშიცა და პუბლიცისტურ ნაწერებშიც. საქმიანი სტილისათვის სასაუბრო ლექსიკა არაა დამახასიათებელი, სამეცნიერო სტილში დაუშვებელიც კია.

ენის ლექსიკურ შესაძლებლობათა კანონზომიერებების მივნება შესახერხებელია მხოლოდ ენის ლექსიკური ფონდის სისტემატური დახასიათება-შესწავლით. ამ დახასიათება-შესწავლას სხვადასხვა ასპექტი აქვს<sup>2</sup>. ერთ-ერთი თვალსაზრისია კონტექსტისათვის სიტყვის შერჩევისა, რაც ვარაუდობს პოლისემის, სინონიმის, პარონიმის, ახტონიშის საკითხების გარკვევას ლექსიკის ფუნქციონალურ-სტილისტიკური და სიტყვის ემოციური შეფერილობის საკითხებთან ერთად.

საკითხთა ამ წყებიდან ერთ-ერთი საინტერესო და ქართულ მასალაზე ნაკლებ შესწავლილია პარონიმის მოვლენა.

პარონიმია სპეციალურ ლიტერატურაში განმარტებულია როგორც აღრევა პარონიმი სიტყვების გამოყენებისას.

სახელწოდება პარონიმი მომდინარეობს ბერძნ. para (ახლოს) და onoma, onyma (სახელი) სიტყვებისაგან. ამ სახელწოდებით აღინიშნება შინაარსით წხვადასხვა, მაგრამ ბერძნობრივიად მსგავსი სიტყვები, რომელთა გამოყენებისას ამ გარეგნული მსგავსების გამო არსებობს აღრევის საშიშროება. ამ თვალსაზრისით რუსული ენის ლექსიკური

2 ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.

მასალიდან პარონიმებად ჩათვლილია продать — предать, азсекрса — азбетраллона, შვეცია-შვეიცარია ტიპის სიტყვები<sup>3</sup>. ზოგჯერ პარონიმებად მიიჩნევენ მხოლოდ ერთი ძირიდან მომდინარე, მორფოლოგიურად ერთნაირ სიტყვებს<sup>4</sup> და ასეთები შეაქვთ სიძნელეთა ან პარონიმების ღეჭსიკონებში<sup>5</sup>.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით (БСЭ, ტ. 19, მესამე გამოცემა, 1975), რომელშიც სათანადო სტატიის ავტორია დ. ნ. შმელიოვი, პარონიმებად მიჩნეულია ბერიბრივად შემთხვევით მსგავსი სიტყვები ვремя-брехмя, апеллировать-оперировать ტიპისა, ე. ი. ისეთები, როცა მსგავსება არც სემანტიკით და არც სიტყვაზარმოებითი პროცესებით არ არის გამოწვეული. სტატიის ავტორი გვაცნობს პარონიმების შესახებ მეორე მოსაზრებასაც, მაგრამ ჩანს, რომ მას არ იზიარებს. ნათქვამია, რომ პარონიმები შეიძლება შეცდომით იხმარებოდეს ერთიმეორის მაგივრად ან პოეტურ მეტყველებაში გამოყენებული იყოს კალამბურულად.

ფართოდაა წარმოდგენილი პარონიმი წყვილები, ზოგჯერ სამეულები და ოთხეულებიც, ნ. კოლესნიკოვის მიერ შედგენილ ლექსიკონში („Словарь паронимов русского языка“. თბილისი, 1971 წ.). ავტორი მიუთითებს, რომ პარონიმებად არ არის მიჩნეული ბერიბრივად ასე თუ ისე მსგავსი სიტყვები, ფონეტიკური და ფონეტიკურ-მორფოლოგიური ვარიანტები სიტყვისა ან ომოფონური სიტყვები, სადაც არ არის აღრევის საფუძველი. მაგრამ არა ჩანს, როგორ განისაზღვრება აღრევის შესაძლებლობა, ვინაიდან დარღვევათა შემთხვევები ლექსიკონში არაა წარმოდგენილი. მხოლოდ თეორიულ მოსაზრებაზე დამყარებული განსაზღვრა კი სარწმუნო არა ჩანს. ამიტომა, რომ ზოგი წყვილი, მაგ. масленый-масляный ტიპისა, არ არის მიჩნეული პარონიმებად.

სპეციალურ ლიტერატურაში მოცემულია პარონიმების მორფოლოგიური დახასიათებაც. მიუთითებენ თავსართებით (поглотить — прогло-

3. Гвоздев А. Н., Очерки по стилистике русского языка, М., 1955, 23. 72; Словарь иностранных слов, под ред. И. В. Лехина, С. М. Мокшиной, Ф. Н. Петрова, Л. С. Шаумяна, М., 1964, гл. 476.

4. Марузо Ж., Словарь лингвистических терминов, М., 1960, гл. 202; Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1966, гл. 313; Розенталь Д. Э., Теленкова М. А., Словарь-справочник лингвистических терминов, М., 1976, гл. 272.

5. Крысин Л. Л., Скворцов Л. И., Правильность русской речи, М., 1962. 1965; Бельчиков Ю. А., Панюшева М. С., Трудные случаи употребления однокоренных слов русского языка, 1968.

тить), *щепетивший* (чувственный — чувствительный) и *широкодиапазонный* (больше—дольше) *глаза*<sup>6</sup> *взвешенные* *шарнирные*.

Археологи часто упоминают *широкий* *занавес* *струнами* *натянутый*, *широкий* *занавес* *взвешенный* *шарниром* *написанный*. Многие, *широкий* *занавес* *струнами* — *художественный* — *художественный*, *декоративный*, — *декораторский* *стиль* *одежды*. А широкий *занавес* *струнами* *натянутый* *взвешенный* *широкий*.

Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*.

Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Занавесы входят в *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*.

Ширина занавеса — *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Ширина занавеса — *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Ширина занавеса — *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Ширина занавеса — *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Ширина занавеса — *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*.

Ширина занавеса — *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Ширина занавеса — *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Ширина занавеса — *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*. Ширина занавеса — *широкий* *занавес* *струнами* *натянутый* *широкий* *занавес* *струнами*.

<sup>6</sup> Колесников Н. П., Словарь паронимов русского языка, тб. 1971, 83. 9.

მნიშვნელობაც: იხ. მცვალე, ასეთი ილუსტრაციებით; „მოვალეები ყელში ხელს უჭერდნენ (ანდრიას), ვალი გადაგვიხადეო“ (ი. ვალ); „მოვალეებმა რომ შეგვაწუხეს, ცოტა რიგიანი სახლი გვედგა, ის გაფილდეთ“ (დ. კლდ.). ასეთი გამოყენება დასახელებულ სიტყვათა პარონიმის შედეგია. თავსართებით განსხვავებული ეს პარონიმები სასურველია ენაში პარონიმებადვე დარჩენენ, ვიდრე იქცნენ სინონიმებად.

ზუსტად ასეთივე, ოღონდაც ბოლოსართებით განსხვავებული, პარონიმებია საცოლე და საცოლო. საცოლეა ის ქალი, ვინც ცოლად უნდა ითხოვონ, („მახარეს კარგი საცოლე აფუჩინოთ“, შ. არაგვ.). საცოლოა ის ვაჟი, ვისაც ცოლის თხოვა შეპთერის, დასაქორწინებელი, ჯვარდასაწერი („შენ, შვილო, საცოლო ვაჟყაცი ხარ!“ ხ. მგალ.; „ორმოცი წლის საცოლო თეიმურაზი შევიდა ქალების მორჩევაში“, ლ. არდაშ.). იმ სიტყვათა პარონიმის შედეგი უნდა იყოს ასეთი გამოყენება: „მშობლები მონახავენ ვაჟიშვილისათვის საცოლო სდა ქალიშვილისათვის საქმროს“ (ე. ნინ.). ანდა თანამედროვე პრესის ენიდან: „აი იმ ბერივაცმა ერთხელ თქვა და დიდი საფიქრალი სავსე საცოლო სავით ამკიდა“ („თბილისი“).

ამავე რიგის აღრევის შედეგი შეიძლება იყოს განაჩენის და ვანჩინების გაიგივება ზოგ კონტექსტში („განჩინების წერა დაიწყეს“, აკაკი; „ახალგაზრდობა პირუთვნელი მსაჯულია, მის განაჩენს თუ განჩინებას ერი უსმენს“, „თბილისი“).

იმ მაგალითებიდან ჩანს, რომ პარონიმის საფუძველი ზოგჯერ შეიძლება გახდეს გარეგნულად მსგავს სიტყვათა შინაარსობრივი სიახლოვეც. ამდენად, პარონიმია ქართულ ენაში უფრო ფართო მოვლენაა, ვიღრე ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს და ამას სპეციალური შესწავლა სჭირდება. ამჯერად კი განვიხილავთ მხოლოდ პარონიმის ისეთ შემთხვევებს, რომლებიც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოხმარების სულ სხვადასხვა სფეროში დასტურდება, როგორც ლექსიკურ ნორმათა დარღვევები, რომელთა გამოსწორება საშურია.

პეტრობრივად მსგავსი, შინაარსობრივად განსხვავებული უცხო სიტყვების პარონიმის ნიმუშებად თანამედროვე ქართული პრესის, რაღიოს, ტელევიზიის თუ მხატვრული ლიტერატურის ენიდან, მოსწავლეთა და აბიტურიენტთა ნაწერებიდან შეიძლება დავისახელოთ ასეთი წყვილები: კამპანია — კომპანია, ექსპერტი — ექსპორტი, ფაქტი — ფაქტორი, კორექტული — კორექტურული, მასიური — მასობრივი, კონიექტურა — კონიუნქტურა, პენალი — პენალტი, თემა — თემატიკა, აღრესატი — ლარესანტი და მათი მსგავსი.

დასახელებულ სიტყვათა აღრევის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მათი მნიშვნელობების უცოდინარობა. ხოლო უცხო სიტყვის მნიშვნელობის უცოდინარობამ როგორი შედეგი შეიძლება მოვცეს, ამას ნათლად გვიჩვენებს შემდეგი მაგალითები, რომელებშიც პარონიმიის ყველაზე ვულგარული შედეგი ჩანს: „ფილმის მხატვრულ გადაწყვეტას ახასიათებს კეთილშობილი, თითქმის ას კეტუ რი უპრალოება“ („თბილისი“). სიტყვათშეხამება და კონტექსტი გვაფიქრებინებს, რომ ასპექტურის მაგივრად აქ უნდა ყოფილყო ასკეტური (ასკეტური უბრალოება). მსგავსი აღრევის შედეგად იქცევა აბიტურიენტთა ნაწერებში ზეზვა გაფრინდაული ზვეზდა გაფრინდაულად, ავთანდილი როსტევანის სპასატელად (სპასპეტის მაგივრად), უკრაინელი ოხტავი უკანასკნელ ოხტატად და ა. შ.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში გამოიყენება ფრანგულიდან შემოსული ბერძობრივად მსგავსი, მაგრამ მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვები კამპანია და კომპანია. პირველის (Kampagne) მნიშვნელობებია<sup>7</sup>: 1. ლაშქრობა, საომარი მოქმედება; 2. რომელიმე ერთდროული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტისათვის ჩატარებული ორგანიზებული საქმიანობა. ამ მნიშვნელობებით ბუნებრივი შესიტყვებებია დოლის კამპანია („არის ისეთი ხარვეზები, რაც ნამდვილად ხელს შეუშლის დოლის კამპანიას“, „კომ.“), საარჩევნო კამპანია, ხენა-თესვის, მოსავლის აღების კამპანია, უურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის კამპანია და სხვ. მაგრამ გვხვდება ასეთ შესიტყვებებში უაღილო სიტყვა კომპანია: „დაიწყო ხელმოწერის კომპანია, ხან კამპანია.“

ასევე არასწორადაა გამოყენებული კომპანია კამპანიის მაგივრად შემდეგ მაგალითში: „ყოველი მნიშვნელოვანი კომპანიისა სეწყობა რეიდები რედაქციასთან ერთად“ („სოფლ. ცხოვრ.“).

კომპანია (compagnie) სიტყვის მნიშვნელობებია: 1. რამდენიმე ადამიანი, რომელებიც ერთად ატარებენ დროს, თანამესუფრენი; 2. ამხანაგობა სავაჭრო ან სამრეწველო. ამ სიტყვის მნიშვნელობით ზოგჯერ არასწორად უხმარით კამპანია, რაც აგრეთვე პარონიმიის შედეგია: „სვამენ..., როცა თავს ვერ აღწევენ ცუდ კამპანიას“ („ახ. კომ.“).

კამპანია-კომპანია სიტყვების გამოყენებისას ამგვარი აღრევის შემთხვევები იმის უფლებას გვაძლევს, რომ გამოვყოთ ეს სიტყვები პა-

7 სიტყვათა განმარტებებისათვის ყველა შემთხვევაში ვსარგებლობდით „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. I—VIII, თბ., 1950—1964.

რონიშულ წყვილად და მათს მნიშვნელობებზე ყურადღების გამახვილებით შევებრძოლოთ ასეთ დამახინჯებას სიტყვათა შერჩევისას.

ექსპერტი და ექსპორტი სიტყვებიც გარეგნული მსგავსების გამოირევა ერთმანეთში, თუმცა მნიშვნელობა ძალიან განსხვავებული აქვთ.

ექსპერტი (ლათ. *expertus*=გამოცდილი) საქმის მცოდნე, სპეციალისტია, რომელსაც იწვევენ რაიმე საკითხის, რაიმე საქმის შესახებ დასკვნის მისაცემად. აქედან საექსპერტო არის ექსპერტიზისათვის განკუთვნილი, ექსპერტიზისა ან ექსპერტებისაგან შემდგარი. ამ სიტყვის მაგივრად შეცდომით უხმარიათ მისი პარონიმული საექსპორტო სიტყვა, რაც სულ სხვა რაიმეს აღნიშნავს. ექსპორტი (ლათ. *exporto*-დან = გამაჭვს) ეკონომიკის ტერმინია და საზღვარგარეთ საქონლის ან კაპიტალის გატანას, გაზიდვას აღნიშნავს. აქედან საექსპორტო იქნება ექსპორტისათვის განკუთვნილი. ასეთ გამოყენებას, თუ ეს, რა თქმაუნდა, კორექტურული შეცდომა არ არის, აზრის დაბნელება მოჰყოლია: „იგი არის უმაღლესი საატესტაციო კომისიის (ვაკ) ფილოლოგიურ მეცნიერებათა საექსპორტო კომისიის თავმჯდომარის მოაღილე“ („კომ.“) ცხადია, ამ კონტექსტში საექსპერტო უნდა ყოფილიყო.

საექსპერტო სიტყვის მნიშვნელობით იხმარება საექსპერტიზოდ, რომლისთვის ამოსავალია ექსპერტიზა. ორივე ერთნაირი დანიშნულებით გამოიყენება (საექსპერტოდ — ექსპერტისათვის, საექსპერტიზოდ — ექსპერტიზისათვის), მაგრამ სასურველია ერთი ავტორის ნაწერში მაინც იხმარებოდეს ერთგვარად ერთი და იმავე ფაქტის აღსანიშნავად და არა იმგვარად, როგორც დასახელებულ მაგალითში გვაქვს: „საექვონაწილაკები ფრთხილად დალუქა და საექსპერტიზოდ გამზადა და იდა და იქვე: „ბოლოს დადგნილება გამოიტანა და საექსპერტოდ გამზადებული მასალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტს გაუგზავნა“ („კომ.“). შესიტყვებებში საექსპერტიზოდ გაამზადა და საექსპერტოდ გაამზადა ერთნაირი აზრია და სასურველია იყოს ერთგვარობა გარეგნულადაც.

ქართულში დასტურდება ფაქტი და ფაქტორ სიტყვების პარონიმია. მაგ.: „ესეც ხომ მატჩისაღმი უჩვეულო ინტერესის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორი იყო“ („კომ.“). ამ კონტექსტში ფაქტორ სიტყვა არ გამოღვება. ლათ. *factor* ნიშნავს 1. რაიმე მოვლენის განმსაზღვრელი ან პროცესის მამოძრავებელი ძალა. ამ მნიშვნელობით მისი გამოყენება მოყვანილ შესიტყვებაში (დამადასტურებელი ფაქტორი) უადგილო ჩანს. უნდა ყოფილიყო სიტყვა ფაქტი (ლათ. *factum*-იდან მომღინარე = გაკეთებული), რომელიც შემდეგს ნიშნავს: 1. რაც სინამდვილეში მოხდა//ნამდვილი, უმჭველი; 2. ესა

თუ ის მონაცემი, მასალა რაიმე დასკვნის გამოსატანად ან მოსაზრების დასაღასტურებლად. ცხადია, მოცემული წინადაღების შინაარსს შესიტყვება დამადასტურებელი ფაქტი შეეფერებოდა, დამადასტურებელი ფაქტორი კი აზრობრივადაც შეუძლებელი შესიტყვებაა.

ფაქტ სიტყვაა ამოსავალი სინონიმური ზედსართავი სახელებისათვის: ფაქტიური და ფაქტობრივი, რომელთაგან ნორმატიული ხმარების სიტყვად ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით უკანასკნელია მიჩნეული. ფაქტობრივ სიტყვის მნიშვნელობაში წინ წამოწეულია ფაქტებზე დამყარებულ მასალაზე ხაზგასმის ნიუანსი. ამდენად პარონიმიის შედეგია ფაქტიურ სიტყვის გამოყენება ასეთ კონტექსტში: „მომხსენებლებმა და დისკუსიის მონაწილეებმა დიდი ფაქტიური მასალის საფუძველზე ცხადყვეს...“ („კომ.“). ზუსტი იქნებოდა შესიტყვება: ფაქტობრივი მასალის საფუძველზე მაგრამ ფაქტობრივი რომ ყოველგვარ შემოხვევაში არ გამოდგება ნამდვილის, უეჭველის ხაზგასასმელად, ამისათვის საყურადღებოა შემდეგი მაგალითი: „ლიტერატურული მექვალრეობის“ ფაქტობრივი რედაქტორი იყო გიორგი ლეონიძე“ („მანათობი“). ამ შემთხვევაში თითქოს ფაქტიური რედაქტორი აჭობებდა.

კონტექსტისათვის საჭირო კორექტული (ლათ. *correctus*) სიტყვის მაგივრად უხმარიათ იმავე ძირის, მაგრამ სულ სხვა სიტყვა — კორექტურული (ლათ. *correctura*-დან) შემდეგ მაგალითში:

ამა რა მოხდება მინდორზე..., თუ კაპიტანი ძალზე „გულფიტ“ თანაგუნდელებს პირადი მავალითთ, უზადო კორექტურული ქცევით არ უაშოშინებს („ახ. კომ.“).

თუ აქ კორექტურული (ბეჭდვის) შეცდომა არ არის, ავტორს უნდა ეხმარა კორექტული სიტყვა გამართული, სწორი, უშეცდომო, თავაზიანი ქცევის აღსანიშნავად.

ხშირად ირევა ერთმანეთში განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვები: მასიური და მასობრივი, თუმცა ორივე ერთი და იმავე ლათინური *massa* სიტყვისაგან მომდინარეობს. მასა არის 1. ამა თუ იმ საგნის შემადგენელი ნივთიერების რაოდენობა, მოცულობა; 2. თვით ნივთიერება, მატერია, რომლისგანაც შედგება საგანი; 3. უფორმო, ცომისებური ნივთიერება; რისიმე სქელი ან ნახევრადთხელი ნარევი; 4. (ფიზ.). სიდიდე, რომლითაც იზომება ნივთიერების რაოდენობა რაიმე სხეულში; სხეულის ინერციის ზომა მასზე მოქმედი ძალის მიმართ; 5. მასები — მშრომელი მოსახლეობის ფართო ფენები; ხალხი.

მასიური აღნიშნავს დიდი მასის, დიდი მოცულობის მქონეს, მასიური — დიდი, მძიმე. მასობრივისათვის კი ამოსავალია მეხუთე მნიშ-

ვნელობა მასისა და ნიშნავს: 1. რაშიც ფართო მასები მონაწილეობენ: მასობრივი ორგანიზაციები, მასობრივი სცენები; 2. რაც მოსახლეობის ფართო ფენებისთვის არის განკუთვნილი, ყველასათვის ხელმისაწვდომი (მასობრივი მოხმარების საგნები); 3. რასაც დიდი რაოდენობით აწარმოებენ, მაგ., საქონლის მასობრივად გამოშვება.

ამ მნიშვნელობათა გათვალისწინებით მასიური არასწორადაა გამოყენებული ასეთ კონტექსტში:

შემდეგ კაპიტანმა... გამოსცა ბრძანება, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობა ეწომებინათ, რასაც მათი მასიური ხოცვა-ლატა მოჰყვა („ხომლი“, თარგმ.).

ამგვარადვე პარონიმებია უცხო სიტყვები პენალი და პენალტი. პენალი (გერმ. pennal < penne კალმი) საკალმე ყუთია, ხოლო პენალტი (ინგ. penalty) ფეხბურთის ტერმინია და თერთმეტმეტრიან საჯარიმო დარტყმას აღნიშნავს. მიუხედავად ამისა ეს პარონიმები ხშირად ირევა მეტყველებაში, ხოლო ბევრ შემთხვევაში ეს მოვლენა ნაბეჭდ პროდუქტიაშიც იჩენს თავს. ხშირად თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის აღსანიშნავად ახალგაზრდობა მხოლოდ პენალს ხმარობს, ხოლო საპირისპირო ხმარების შემთხვევაც რომ ფაქტია ენაში, ამას შემდეგი მაგალითი აჩვენებს: „ერთხელ ჭიაყელამ კალმის ჩასალაგებელი „პენალტი“ მოუტანა და შეევედრა: ჭიაყელას ნუ დამიძახებო“ („ცისკარი“).

ადრესატი (გერმ. Adressat) — ის პირია, რომელსაც ეგზავნება წერილი, დეპეშა და მისთანანი, ან ის პირი, ვის სახელზეც ადრესია შედეგისას, ხოლო ადრესანტი (გერმ. Adressant) — ის პირი, ვინც გზავნის წერილს, დეპეშას და მისთ.

დიპლომატი (ფრანგ. diplomate) თანამდებობის პირია, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა და უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობა აქისრია, ხოლო დიპლომანტია სტუდენტი, რომელიც დიპლომის (ფრანგ. diplôme) დაცვისათვის ემზადება.

თემა (გერმ. thema) არის 1. საგანი (საკითხი), რომელსაც ეხება თხზულება, საუბარი და სხვ.; დებულება, სიუჟეტი, რომელიც უნდა განვითარდეს ან განვითარებულია (მოხსენებაში, თხზულებაში...)/|/საკითხი, რომელიც უნდა გაშლილად დამუშავდეს წერილობით. აქს აშ სიტყვას სხვა მნიშვნელობებიც, მაგრამ პარონიმის თვალსაზრისით საინტერესოა ეს დასახელებული მნიშვნელობა, რადგან ამ მნიშვნელობით ამის მაგივრად ზოგჯერ ნახმარია თემატიკა, რაც გარკვეული მიზნით, თვალსაზრისით შერჩეულ თემათა ერთობლიობას, თემათა სისტემას აღნიშნავს. ამიტომ მოსწავლის ნაწერში ასეთი გამოყენება: „პატ-

რომელულ თემატიკას ეხება აღ. ჭავჭავაძის მრავალი ლექსი — პარონიმის შედეგია თემა და თემატიკა სიტყვებისა.

კანდიდატი პირია, რომელიც დასახელებულია, ნავარაუდევია რამე თანამდებობაზე ასარჩევად, დასანიშნად, საღმე მისაღებად (სკოპ წევრობის კანდიდატი, მეცნიერების კანდიდატი), ხოლო კანდიდატურა 1. ვისიმე უფლება ან შესაძლებლობა, იყოს რისიმე კანდიდატი. 2. პირი, რომელიც შეიძლება შეარჩიონ რისიმე კანდიდატად. ამ მნიშვნელობით კანდიდატურა იგივეა, რაც კანდიდატი, მაგრამ ხშირად მცდარადაც გამოიყენება, როცა ნათქვამია: შეარჩიეს კანდიდატები (რაღაც ისთვის) ნაცვლად გამოთქმისა: შეარჩიეს კანდიდატურები.

**კონიუნქტურა** (ლათ. *conjectura*) არის 1. შექმნილი ვითარება. მდგომარეობა; 2. ამ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებს სასაქონლო მეურნეობას (ფასების მოძრაობა, ფასიანი ქაღალდების კურსი, გამოშევებული პროდუქტის რაოდენობა და მისთ.). ეს სიტყვა შეიძლება აირიოს კონიუნქტურა (ლათ. *conjectura* — მიხვდრა, ვარაუდი) სიტყვაში, რაც ნიშნავს ტექსტის დამახინჯებული ადგილის აღდევნას ან ისეთი ტექსტის გაშიფრას, რომელიც არ იყითხება. პარონიმის საფუძველი შეიძლება გახდეს აუცილებლობის გარეშე უცხო, მით უმეტეს ნაკლებად ცნობილი, სპეციალური, სიტყვის მისთვის უჩვეულო, ისეთ გარემოში გამოიყენება, როგორიც ამ მაგალითშია:

აჩასწორად კი მოიქცენ ისინი, ვინც ვერ გაითვალისწინა, როგორც იტყვიან, უქმნილი ქონიუნქტურა, არ გაჰყევა ბაჟშვებს მხედა და ოოვლში, არ ჩაუდგა სათვეში მათ, რომ სწორედ ბუნების წიაღში დაემეგობრებინა ნორჩები ფიზიულტურასთან — მოწყო სახელდახელო შეჯიბრებები, თამაშობანი. („ლელო“).

როგორც ჩანს, მარტივად სათქმელ „შექმნილ ვითარებას“ ცვლის ავტორი უცხო სიტყვით, რომელიც ამ სიტუაციას სრულიად არ შეეფერება. ასევე უადგილო ჩანს ეს სიტყვა ასეთ მაგალითშიც:

ისიც სეკითხავია: თუ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოთა მთელი ახალი ტირაჟი სკოლებში წავიდა, საიდან არის შავ ბაზარზე ამდენი ეგზემპლარი, მამასისხლად რომ იყიდება? ზოგიერთებს ხელს ხომ არ იძლევს ამ სფეროში ეს დაბაბული კონიუნქტურა? („თბილისი“).

აქაც დაძაბული ვითარება აჯობებდა, რომ პარონიმიას არ დაურჩეს ადგილი.

**ლიტრი** (ფრანგ. *litre*) სითხის საზომი ერთეულია. უდრის 1000 კუბურ სანტიმეტრს (იტევს 1 კგ. წყალს)/ამ რაოდენობის სითხე. **ლიტრა** 1. თიხის პატარა ვიწროყელიანი წყლის ჭურჭელი („ლიტრას ეუბნებოდნენ, კოკავ, შენ გესმოდესო“); 1. ძველი ქართული

წონის ერთეული (სხვადასხვა ღროს და სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული, უძრიდა 1—4 კგ-ს). შეინიშნება ამ სიტყვების პარონიმია, რასაც აჩვენებს ასეთი მაგალითი: „ყოველდღიურად წველიან ხუთ ათასამდე ლიტრა რეს“ („სამშობლო“).

ლითტრის სინონიმად ლიტრას ხმარება შეიძლება და ლექტრიზმა-დაც ჟეფასდეს, მაგრამ ამ მოვლენის უფრო ზუსტი კვალიტიკაცია იქნება პარონიმია ამ ორი ბგერობრივად მსგავსი შინაარსით განსხვავებული სიტყვისა.

მსგავსი წარმომავლობის, ბგერადობის და მნიშვნელობის მქონე უცხო სიტყვათა შინაარსობრივი ნიუანსების კარგად ფლობაა საჭირო, როცა მომხმარებელი მიმართავს უცხო სიტყვას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება შეტისმეტად არასახარბიველო ჟედეგი მივიღოთ უცხო სიტყვის მომხმარებლის განათლებისა და ენობრივი ალოს დასახასიათებლად.

არაიშვილითა პარონიმის შემთხვევები არაუცხოურ სიტყვათა გამოყენების დროსაც. განსაკუთრებით ხშირია არსებით სახელოა პარონიმია.

ქართულში არსებობს სინონიმური მნიშვნელობის აბსტრაქტული სახელები: სიჭაბუკე და ჭაბუკობა. ამ უკანასკნელს კრებითობის გამოხატვის უნარიც აქვს, ამიტომ ისინი ყოველთვის თავიუფლად ვერ შეენაცვლებიან ერთმანეთს. კერძოდ, კრებითი მნიშვნელობით გამოყენებულ ჭაბუკობა სიტყვას ვერ შეცვლის სიჭაბუკე, როგორც ამ მაგალითებში უცდიათ:

გმირებიც ცონტილნი არიან, ვისგანაც მაგალითს იღებს შევყნის სიჭაბუკე („აბ. კომ“.). ოლიმპიური მოსკოვი მასპინძლობს მსოფლიოს სიჭაბუკეს! („ლელო“).

ორივე შემთხვევაში საჭირო იყო კრებითობის შინაარსით ჭაბუკობა სიტყვა. აღრევა გამოიწვია, როგორც ჩანს, შინაარსობრივმა მსგავსებამ.

ამგვარად ზოგი გარეგნულად მსგავსი არსებითი სახელი შინაარსითაც ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ზოგ კონტექსტებში სინონიმურად შეიძლება გამოიყურებოდნენ. ასეთების მაგალითებად კიდევ შეიძლება დავასახელოთ მოსაზრება — თვალსაზრისი, შესახედა — შეხედულება.

**მოსაზრება** — 1. სახელია მოისაზრებს ზმნის მოქმედებისა; მოფიქრება; მიხვედრის, მოფიქრების უნარი//ფიქრი. 2. აზრი, შეხედულება, თვალსაზრისი; ; 3. გონება.

როგორც განმარტებიდან ჩანს, გარკვეულ შემთხვევაში მოსაზ-

რება სინონიმია ოფალსაზრისისა. შეიძლება ვთქვათ: ასეთია ჩემი  
მოსაზრება ან ასეთია ჩემი თვალსაზრისი. ოფალსაზ-  
რისი რაიმეზე გარკვეულ აზრს, შეხედულებას აღნიშნავს, მაგრამ წიგ-  
ნური სიტყვაა და ყოველთვის თავისუფლად ვერ ჩენაცვლება მოსაზ-  
რება სიტყვის, როგორც ამგვარი კონტექსტიდან ჩანს: „მეფე ვიორვი  
დაქორწინდა პოლიტიკური თვალსაზრისით“ (აბითურიენტის  
ნაწერიდან), აშკარაა მოსაზრებით სიტყვის საჭიროება.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შეხედულება სიტყვის  
ძირითად მნიშვნელობად გამოყოფილია გარეგნობა, შესახედაობა  
„დარბაისელი კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალება-  
სა“, ილია; „მგელს საზარელი შეხედულება ჰქონდა“, ვაჟა).  
შეორე მნიშვნელობაა მოსაზრება, აზრი, თვალსაზრისი. მაშასადამე,  
დასაშვებია შესახედაობა სიტყვის გამოყენება შეხედულება სიტყვის  
მაგივრად ზოგ შემთხვევაში („არც შესახედაობა ჩარიჩე-  
ბოდა სხვა პატარძლებს“, რ. გვეტ.). მაგრამ ამ სიტყვათა პარონიმის  
შედეგია შესახედაობა სიტყვის გამოყენება შეხედულება სიტყვის მა-  
გივრად ოფალსაზრისის მნიშვნელობით: „ეს სტროფი გამოხატავს მის  
შესახედაობას მთელი მსოფლიოს ხალხზე“ (აბითურიენტის  
ნაწერიდან)...

ეს მაგილითები შევენივრად აჩვენებს იმას, თუ როგორ შეიძლება  
სინონიმები იქცნენ პარონიმებად, თუ გათვალისწინებული არ იქნება  
მათი სემანტიკური შესაძლებლობანი. შეიძლება სიტყვები სინონიმები  
იყვნენ ერთი მნიშვნელობით, მაგრამ მათგან რომელიმეს ჰქონდეს სხვა  
მნიშვნელობაც. თუ ამას არ გავითვალისწინებთ და ყოველგვარ სი-  
ტუალიაში ამ სიტყვებს მოვიხმართ სინონიმურად, შედეგად შეიძლება  
პარონიმია მივიღოთ.

სხვა შემთხვევაში სიტყვათა მხოლოდ გარეგნული, ზეტობრივი  
მსგავსება გამხდარა პარონიმის საფუძველი. ასეთი ვითარებაა, მაგ-  
ლითად, ცნება — ცნობა, ცნება — მცნება სიტყვათა მოხმარების დროს.

ცნება სიტყვა აღნიშნავს შემეცნების ფორმას, რომლის მეშვები-  
თაც შეიცნობა ობიექტური სინამდვილის (საგანთა, მოვლენათა) არსე-  
ბითი ნიშნები (მიიღება ცალკეულ მოვლენათა განზოგადების შედეგად):  
„სიტყვის აღსანიშნ მხარეს ცნება წარმოადგენს“ (ბ. ფოჩხუა). „ენა  
მდიდრდება ახალი სიტყვებით, რომელიც საჭიროა ახალ ცნებათა  
გამოსახატავად“ (ვაჟა). პარონიმულად უხმარიათ ცნება სიტყვა  
ცნობა სიტყვის მაგივრად: „ანაზდად გნახეთ და ცნება წამერთო“  
(ს. მთვარ.). „რას ამბობ, შტერო, რას ამბობ? რად არ მოდიხარ ცნე-  
ბას ა?“ (ვაჟა).

- ცნობა —** 1. სახელია იცნობს ზმნის მოქმედებისა; მიხვედრაა გამოცნობა. („სჩანს, რომ ჭოყოლა ვერ იცნობს“, ვაჟა).  
 2. სახელია ცნობს ზმნის მოქმედებისა; აღიარება.  
 3. გონიერება, აზრიანობა (ცნობა დაკარგა).  
 4. ამბავი//ოფიციალურად გადმოცემული ამბავი, უწყება (საინფორმაციო ბიუროს ცნობა).  
 5. ოფიციალური საბუთი რისიმე დასადასტურებლად.

**ცნობა** სიტყვა იყო საჭირო (მნიშვნ. 3) ზემოთ დასახელებულ წინადადებებში. მაგრამ ეს მაინც ერთეული შემთხვევებია, უფრო ხშირია ცნება სიტყვის მაგივრად შედარებით ნაკლებ სახმარი მცნება სიტყვის გამოყენება.

**მცნება —** 1. ძვ. ბიბლიური გამონათქვამი ზნეობრივი ხასიათისა (ათი მცნება).

2. წიგნ. გადატ. მოძლვრება დებულების სახით („მოპყვევ დავითის მცნება სა ა ა“)/სახელმძღვანელო წესი//ანდერძისეული ბრძანება, განკარგულება.

**თუ მცნება** სიტყვის ამ მნიშვნელობებს გავითვალისწინებთ, ნათელი იქნება ქვემოთ დასახელებულ კონტექსტებში პარონიმიის ფაქტი;

ახლა მოდურად იქცა მცნება ე.წ. რისკის ფაქტორების შესახებ... („კომ.“) — მოქმერილი, კოტა ისრები რესტორნის აღგილსამყოფებლზე მიგითოთებდნენ, თუმცა პეტერბურგის შავბნელ დღეებში მცნება რესტორანი წარსულს ჩაბარება („ხმლიო“, თარგმ.). კარგი კაცის მცნება სხვა რამეს ნიშნავს... (ტრლეგადაცემა). ლევანი თავადაც ახალგაზრდა კაცია. ნემცვილი ინტელეგენტი. ეს მცნება კი, მოგეხსენებათ, კარგა ხანია ურჩის განათლების ფარგლებს. ინტელეგენტობას ვერც დიპლომი შესძენს კაცს, ვერც მეცნიერული ხარისხი. ეს ცნება ზოგად კულტურასთან, ფართო განათლებასთან, სულიერ სიფაქიზესთან ერთად მოიცვას მაღალ შეგნებას, საზოგადოებრივ აქტივობას... („ახ. კომ.“).

**ყველა დასახელებულ შემთხვევებში საჭიროა ცნება სიტყვა.**

ასეთივეა აღრევის საფუძველი სასმის და სასმელ სიტყვათა გამოყენებისას შემდეგ მაგალითში:

დაუგვეს რეპორტირები მტკვრის ნაპირების საღამოს განეოთის რანდებს ამ სიუბილეო დღეს მხურვალე სალამსა და მისალმებას ვუთვლით. ხეანქეარა ვერ ვიზოვეთ და ჩვენებური სასმისით გადლეგრელებთ („თბილისი“).

**სასმისი** ჭურჭელია რამე სითხის შესასმელად. მოცემულ კონტექსტში კი საჭირო იყო სიტყვა სასმელი (— რაც უნდა სვან, დასალევად განკუთვნილ სითხე). შინაარსობრივი და ბგერობრივი მსგავსების გარდა აღრევას, აღბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ შესაძლებლობის ნიუანსით გვაქვს ზმნური ფორმა ი-სმის (შეიძლება სმი), სას-

შინა-შიც ეს შინაარსი დაინახეს (რაც შეიძლება სვან). შედეგი აქაც პარონიმია.

ასევე ყოველოვის არა გამიჭნული მგზავრობა — მოვზაურობა სიტყვების გამოყენების სფეროები.

მგზავრობა მ გ ზ ა ვ რ ო ბ ს ზმნის მოქმედების სახელია და ოლ-ნიშნავს შორ გზაზე სვლას. მოვზაურობა კი მ ო გ ზ ა უ რ ო ბ ს ზმნის მოქმედების სახელია, რამე მიზნით სხვადასხვა მხარეში სიარულს, მგზავრობას აღნიშნავს.

გარეგნულად მსგავსი, მაგრამ შინაარსობრივად ძალიან განსხვავებული ნაზმარი სახელებია აღქმა და აღთქმა.

აღქმა ფსიქოლოგიური ტერმინია და ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ფაქტების (საგნების, მოვლენების) ასახვის პროცესს აღნიშნავს. მაგ.:

ამ საოცრად თბილად და გზნებით დაწერილ წერილებში ცოცხლად დაგეხმატა ახალგაზრდა მწერლის მხატვრული აღქმის ძალა და მამულიშვილური გზნება („შიათობი“, ერ. ქარელ).

აღქმა სიტყვის მაგივრად მისი პარონიმი აღთქმა უხმარიათ შემდეგ შემთხვევებში:

მკითხველი, რომელიც აზროვნებასაა მიჩვეული..., მიხედება ზემოთქმულს, და აიღვა ის მკითხველი, რომელსც პოეტური აღქმის შაღლი აქვს მინიჭებული („ლიტ. საქ.“); ამიტომ აღითქვა მაყურებელმა ასე ჩეენი ცაჰვები (ტელევიზია).

აღთქმა სახელია აღუთქვამს ზმნის მოქმედებისა და ნიშნავს დაპირებას, სიტყვის, პირობის მიცემას, დანაპირებას. ეს სიტყვა იყო საჭირო ქვემოთ დასახელებულ კონტექსტებში აღქმის მაგივრად:

ილიას ჭაბუკურმა გულმა მთების სახით მთელ საქართველოს დაულო აღქმა, რომ თვით შორეულ უცხოეთშიც არ შეწყვეტდა სამშობლოზე ფიქრსა და ზრუნვას (აბითურიენტის ნაწერიდან). თორნიერებული წარმოუდგენელი იყო უფლესადმი მიცემული აღქმის დარღვევა.

„ვიჩ გავტეხ აღქმას!“ (აბითურიენტის ნაწერიდან).

სწავლა და სწავლება სიტყვები სემანტიკურად სხვადასხვანი არიან, ობიექტური სინამდვილის სხვადასხვა პროცესს აღნიშნავენ.

სწავლა სწავლობს ზმნის მოქმედების სახელია და იღნიშნავს 1. ცოდნის შეძენას, განათლების მიღებას ან საზოგადოდ 2. განათლებას, ცოდნას.

სწავლება კი ასწავლის ზმნის მოქმედების სახელია. ნიშნავს რისამე შესახებ ცოდნის მიწოდებას, რამე საქმიანობაში ვისიმე გაწაფვას, დახელოვნებას.

ამ სიტყვათა სემანტიკა უკვე განსაზღვრავს მათს განსხვავებულ

გამოყენებას, მაგრამ მაინც გვხვდება ალრევა მათი გამოყენებისას ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში. აი, ერთი მაგალითი ამისა:

ამავე წელს ჩავირიცხე თბილისის საკულტო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრე 1968 წელს, აუგამად ვტუშაობ... გოხოვთ განმიმარტო, იმსტიტუტში სჭავლების თუ არა სამუშაო სტაფში („სახალხო ჯანმრთელობა“).

შემკითხველი კი არ ასწავლიდა, იმსტიტუტში თვითონ სწავლობდა, ამიტომ უნდა დაეწერა სწავლის პერიოდი.

სწავლა და სწავლება სიტყვებს შორის პარონიმული აღრევის შედეგია სასწავლებელ და შესასწავლ სიტყვების არევაც შემდეგ მაგალითში:

ეწვიონ დები აბრამიშვილები ქუთაისის № 37 პროფესიულ სასწავლებელს, სასწავლებლად იორჩიეს ღეირის რთული პროფესია („ახალი ცხოვრება“).

დებს ფეიქრის პროფესია უნდა შეესწავლათ, ამიტომ წინადადებაში უნდა ყოფილიყო შესიტყვება შესასწავლად იორჩიეს.

სხვადასხვა რიგის სიტყვებია თარგმნა და თარგმანი. პირველი საჭელია თარგმნის ზმნის მოქმედებისა, თარგმნა არის ერთი ენიდან მეორეზე გადაღება; მეორე კი აღნიშნავს ერთი ენიდან მეორეზე გადაღებულ ტექსტს ან სიტყვას. ამ ბოლო დროს მოხშირდა სიტყვა თარგმანის გამოყენება და გვხვდება ამგვარი შესიტყვებები: მსატვრული თარგმანი, თავისუფალი თარგმანი, მდარე თარგმანი, რამდენიმე თარგმანი, თარგმანის კრიტიკა, თარგმანის სიზუსტე, დედნისა და თარგმანის შესაბამისობა, თარგმანის შეფასება და ა. შ. ამათ გვერდით შესიტყვებებში თარგმანის ხელოვნება, თარგმანის საქმე, თარგმანის საკითხი და ა. შ. არასწორადაა ეს სიტყვა გამოყენებული, როგორც შემდეგი მაგალითებიდან ჩანს:

... თარგმანის ხელოვნებით მწერალთა შედარებით ფართო წრე, ბევრი გამოჩენილი შემოქმედი დანტერესული („ლიტ. ხაჟ.“).

უნდა: თარგმნის ხელოვნება.

თუ როგორ უნდა წყდებოდეს ქართული შხატვრული ლიტერატურული ნაწარმოების სხვა ხალხთა ენებზე თარგმანის საკითხი, ეტყობა ეს კითხვა უპირატესად სათარგმნელი ლიტერატურის შეჩერებასა და თარგმანის ორგანიზაციულ მხარეს ეხება (იქვე).

უნდა: თარგმნის საკითხი; თარგმნის ორგანიზაციულ მხარეს.

რედაქტია დისკუსიას იმის აწერით ამთავრებს, რომ ანკეტის მონაწილეთა პასუხებმა ღრმად ჩაგახედა თარგმანის საქმის მდგომარეობაში, გვიჩვენ გზები არსებული ხარებზების გამოსასწორებლად, კიდევ ერთხელ შეგვაპ-

სენა, რომ თარგმანი დიდი კულტურული, ეროვნული და ინტერნაციონალური მნიშვნელობის საქმეა („ლიტ. საქ.“).

სათარგმნი ნაწარმოების იმგვარად შეტჩივა, რომ გამდიდრდეს ჩვენი ეროვნული ლიტერატურა, დედინისადმი ერთგულება, თუ „თავისუფალი თარგმანი“, თარგმანის საქმე ში ლიტერატურული წესრიგის დამყარება, ძველი პრობლემებია და აღნათ იმ ხნიდან არსებობს, რაც ჩისახა და განვითარდა თარგმანი, როგორც მხატვრული შემოქმედების დარგი („ლიტ. საქ.“).

ბოლო მაგალითების მიხედვით თარგმანი წარმოდგენილია საქმედან დარგად: თარგმანი საქმეა, თარგმანი დარგია.

საქმე შეიძლება იყოს თარგმნა და ამიტომ შეიძლება ვიხმაროთ თარგმნის საქმე, თუ მაინცა და მაინც საქმე სიტყვას ვერ შეველევით.

ასევე მხატვრული შემოქმედების დარგი შეიძლება იყოს თარგმნა და არა თარგმანი. ამიტომ ბოლო წინადადებაში უნდა გვქონდეს: ... ჩისახა და განვითარდა თარგმნა, როგორც შემოქმედების დარგი.

**თარგმნა — თარგმანის პარონიმიის ნიმუში გვაქვს შემდეგ მაგალითშიც:**

მე პირადად „იქცდან აქეთ“ თარგმანის გაძლიერება ჩიმჩენია მთავარ ამოცანად, „აქცდან იქით“ თარ გმანი კი რაოდენობრივად უნდა შემცირდეს და ხარისხობრივად ამალლდეს („ლიტ. საქ.“).

**თარგმან სიტყვის მაგივრად უნდა იყოს თარგმნა.**

პარონიმია ქართულში სახელთავან დამახასიათებელია ზედსართვი სახელებისთვისაც, კერძოდ, მიმართებითი ზედსართავებისთვის.

აქ პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ თითქმის ერთნაირი აგებულების და მსგავსი მნიშვნელობის ზედსართავები: უებარი და უებრო, რომელთა გამოყენება არაა ერთნაირი.

უებარია, რის თანაბარიც არ იპოვება, განსაკუთრებით კარგი, საუკეთესო რამ. 1. ძალიან კარგად მოქმედი, განმკურნავი წამალი. „სილარიბის უებარი წამალი სიბეჭითე და გარგაა“ (დედა ენა).

უებრო — ვისაც (რასაც) ტოლი, მსგავსი, ბადალი არა ჰყავს (არა აქვს), უბადლო, სწორუბოვარი//უჩვეულო, განსაკუთრებული.

ამ შინაარსობრივი ნიუანსების გათვალისწინებით უებარი წამალი, მაღამო, საშუალება... შესიტყვებები შეიძლება, მაგრამ უებარი მეგობარი, მეზობელი, მოსაუბრე... აღარ გამოდგება. მაშასადამე, ერთი შეხედვით სინონიმური სიტყვები განსხვავდებიან სხვა სიტყვებთან ურთიერთობის თვალსაზრისით<sup>8</sup>. ამიტომ ამ სიტყვების პარონიმიაზე შეიძლება ვილაპარაკოთ ასეთი კონტექსტების მიხედვით:

თვეენისთანა უებარი მეზობლები ყველას კი არა ჰყავს („ციხესიმაგრე“)... განცვიტრებით შესცემროლნენ ამ უებარ მოსაუბრეს („ციხესიმაგრე“).

<sup>8</sup> ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974, გვ. 36.

უნდა ყოფილიყო უებრო მეზობლები, უებრო მოსაუბრე ან სუ-  
ლაც სხვა სიტყვა — უბადლო.

ასევე აქაც:

ზეთორის პირობებში რა უ ებარი იქნებოდა დაბამბული შარვლები და თბი-  
ლი ქურთუკები, კარგად მოგეხსენებათ! („ხოჯლის ცხოვრება“).

სინონიმური ზედსართავებია ქართულში ახლო სიტყვისაგან ნა-  
წარმოები ახლობელი და მახლობელი, მაგრამ სიტყვათშეხამების თვალ-  
საზრისით ისინი განსხვავდებიან. ეს განსხვავება შეიძლება მათი პა-  
რონიმის მიზეზი განდეს.

მახლობელი ნიშნავს ახლო მყოფს//ახლობელს, მაგრამ ყოველ-  
თვის არ გამოღვება ახლო მყოფის აღსანიშნავად.

მაგ.: კოსმოსური ხომალდი მიღრინავს სიჩქარით, რომელიც „მახ-  
ლობელია სინათლის სიჩქარისა („მეცნიერება და ტენიკა“). აქ  
არც ახლობელი გამოღვება, უნდა ახლოსაა ან უახლოვდება.

ადრინდელი და ადრეული ზედსართავებიც პარონიმულ სიტყვე-  
ბად შეიძლება გახვითილოთ.

ადრინდელი — უწინდელი, უწინდებური, ძველებური (ადრინდე-  
ლი ცხოვრება).

ადრეული — ვადაზე ადრე მომხდარი, ადრე შემოსული, ნაადრე-  
ვი, ადრე ჩატარებული (ადრეული ვაზაფხული, ადრეული ვაშლი).

ასეთ მაგალითში: „ფიშერს 30 ივნისი ყველაზე ა დ რ ი ნ დ ე ლ  
ვ ა დ ა დ მიაჩნია“ („ლელო“), საჭირო იყო ადრეულ სიტყვა (ადრე-  
ულ ვადად). გარეგნულმა და ნაწილობრივ შინაარსობრივმა სიახლო-  
ვებ გამოიწვია პარონიმია.

ასევე სუფიქსებით განსხვავებული პარონიმებია გონებრივი და  
ვონივრული ზედსართავი სახელები.

გონებრივი 1. გონების ხასიათისა, გონების მოქმედების შედეგად  
მიღებული, ინტელექტუალურია ან 2. საერთოდ ფსიქიკური ფიზიკუ-  
რის საპირისპიროდ (გონებრივი ალზრდა, გონებრივი შრომა...).

გონივრული — გონიერის დამახასიათებელი, ჰქვიანური. ამ სიტყ-  
ვისთვის ადგილი არ რჩება ასეთ კონტექსტში: „ზოგიერთი ორგანიზმი  
ადვილად იტანს ფიზიკურ და გონივრულ შრომას“ („თბილისი“);  
მით უმეტეს, რომ ერთმანეთთან დაპირისპირებულია შრომა ფიზიკუ-  
რი და გონებრივი. გონივრული შეიძლება იყოს ქცევა, საჭირო, საუ-  
ბარი, დასკვნა და ა. შ.

ნაზმნარი ზედსართავები პასუხისმგებელი და პასუხსაგები გან-  
სხვავებული შინაარსის აღმნიშვნელია. პასუხისმგებელი შეიძლება  
იყოს პირი, ვისაც პასუხისმგებლობა აკისრია, ვინც პასუხს აგებს. პა-

სუხსაგები კი არის რაიმე (საქმე, თანამდებობა), რაც პასუხისმგებას მოითხოვს, პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, საპასუხისმგებლო. შესიტყვება პასუხისმგებელი თანამდებობა დასახელებული პარონიმული წყვილის აღრევის შედეგია.

### მაგალითი:

არ გაუშეთ ნასამართლები და ნლობადაკარგული პირები შატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობებზე („გამარჯვების დროშა“).

ამ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო: საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ან პასუხსაგებ თანამდებობებზე.

ზედსართავებია სწორი და სწორე სიტყვები, რომელთაგან სალიტერატურო ქართულმა მხოლოდ სწორ ფორმა იცის. სწორე-ს აქა-იქ სმარება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმის დარღვევად მიიჩნევა, მაგრამ შემორჩენილია მისი ვითარებითი ბრუნვის ფორმა თავდაპირველად, ალბათ, ზმნისართის ფუნქციით, ახლა კი ნაწილაკის ფუნქციით რაიმე სიტყვის, გამოოქმის გასახაზვად ასეთი მნიშვნელობით: ნამდვილად, მართლაც, ზუსტად (ბიჭი სწორე დ იმ გზაზე იჯდა, გოგო სწორე დ თოთხმეტი წლისა იყო, სწორე დ ამ საკითხს ეხება, სწორე დ ასე მოიქცა...).

სწორ ზედსართავისაგან გვაქვს ზმნისართი სწორად, რაც ნიშნავს 1. პირდაპირ, გაუმრუდებლად, მიხვევ-მოხვევის გარეშე; 2. სინამდვილის შესაბამისად, ნამდვილად, მართებულად ან 3. თანასწორად, თანატოლად, თანაბრად.

ხშირად არასწორად გამოიყენება სწორად ზმნისართის მაგივრად სწორედ, რაც პარონიმული ხასიათის დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ.

### მაგალითად:

ახალგაზრდა მსახიობმა გვიჩვენა მულწრფელი განცდა. სახის სწორე დ გააზრების უნარი („ლიტ. საქ.“).

უნდა იყოს: სწორად გააზრების უნარი.

სწორედ ნაწილაკისა და სწორად ზმნისართის გამოყენებისას საჭიროა დაკვირვება, რომ პარონიმიია ავიცილოთ თავიღან.

ზმნისართებისა და ნაწილაკის პარონიმიის მაგალითად გამოდგება აგრეთვე სრულად და სრულიად სიტყვების გამოყენების ზოგი შემთხვევა.

სრულად ზმნისართს (სრულ ზედსართავის ფუძიდან) აქვს მნიშვნელობა მთლიანად, მთლად, სავსებით (სრულად მოიტანა — მთლიანად მოიტანა).

ასეთივე მნიშვნელობისა და წარმოშობისაა, მაგრამ განსხვავებული

ლი ფორმისა სრულიად ზმნისართი, რომელიც ნაწილაკად უფრო გამოიყენება უარყოფით ნაწილაკებთან ერთად: სრულიად არ უნდა გაგონება. მაგრამ ასეთი გამოყენება: „სრულიად არაფრად ჩამაგდო“, აღრევის შედევია.

მორფოლოგიურად სხვადასხვა სიტყვებია წინაშე და წინააღმდეგ. წინაშე ზმნისართის მნიშვნელობებია 1. პირისპირ, პირდაპირ. თანდებულიად ქცევის შემდეგ მოითხოვს ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს ვისიმე ან რისამე წინ ყოფნას და აქვს მიმართ ზმნისართის მნიშვნელობაც (ლვთის წინაშე, უფლის წინაშე).

წინააღმდეგ ზმნისართს აქვს მინშვნელობა 1. ვისიმე ინტერესების საზიანოდ//პირიქით. თანდებულიად ეს ზმნისართიც იქცა, მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას და აღნიშნავს ვისიმე (რისამე) საპირისპიროდ მოქმედებას (ხმა აიმაღლა ხალხის მტრების წინააღმდეგ).

ცოტა შინაარსობრივი და აგრეთვე ფორმის მხრივ მსგავსება გამხდარა ამ სიტყვათა პარონიმიის საფუძველი შემდეგ მაგალითში: „მან [დ. ჭონქაძე] პირველმა აიმაღლა ხმა იმდროინდელი ბატონყმური უსამართლობის წინაშე“ (აბიტურიენტის ნაწერიდან). უნდა იყოს: უსამართლობის წინააღმდეგ.

დასტურდება თითქოს და თითქმის ნაწილაკების პარონიმიის შემთხვევებიც, როგორც ჩანს მათი ბგერითი მსგავსების გამო, თუმცა შინაარსი განსხვავებული აქვთ.

თითქოს ნაწილაკი აღნიშნავს იმას, რაც სინამდვილეში არ არას, რაც ჰგავს, მოგვაგონებს რასმე; ვითომდა, ვითომც. ამდენად, აშკარად პარონიმული დარღვევაა ასეთ გამოყენებაში:

მისი ლეროს გარსშემოწერილობა თ ითქოს მეტრს აღწევს („ხაქ. ბუნ.“).

აქ საჭიროა ნაწილაკი თითქმის, რაც ნიშნავს: ისე ან იმდენი, რომ ცოტალა აკლდეს, ლამის, კინალამ. საპირისპირო შემთხვევებაა:

გზის პირებზე ჩამწყრივებული სახლები თითქმის ახლახან შეუკეთებიათო („გამარჯვ. დროშა“).

თანამედროვე ქართულში გვხვდება ზმნის ფორმათა პარონიმიაც. მაგალითად, ზოგჯერ ერთმანეთში ირევა ლოცულობს, ლოცავს, ლოცება ფორმები. ასე:

ესაც თავგერში უპირდა ასვლა, არბოში ლოცულობდა და დღესასწაულობდა. გიორგიმ ეგეც ჩაიწერა და დაფიქტებული მიაჩერდა კედელს. — ჰო, რისთვის იღოცებოდნენ; სიცოცხლისა და ბედნიერებისთვის. — უარმოთქვა და ისევ ფიქრმა გაიტაცა („ზნათობი“).

ილოცებოდნენ ფორმა ილოცება ზმნის პარადიგმის ნაწილია, რო-

მელიც ზოგჯერ ბადალია ლოცავს ზმნისა. აქ კი საჭირო იყო ლოცულობა ზმნის შემნის შემთვალის კავშირებითის ფორმა — ილოცებდნენ.

უკანასკნელ ხანს ძალიან მოხშირდა მოძველებული სუფევს ზმნის ხმარება მისთვის შეუფერებელ კონტექსტებში. ამის მიზეზი უნდა იყოს მისი ორევა მეფობს ზმნის გადატანითს მნიშვნელობასთან: ფართოდაა, გავრცელებული, გაბატონებულია, სუფევს (სიჩუმე და ყინვა მეფობს ქუჩებში). ხშირად წერენ: ბატონ ყმობა სუფევდა მის ოჯახში. „ჩვენს უბანზე შრომის სუფევა აა“ („თბილისი“).

პარონიმიის შედეგი უნდა იყოს აკითხებს ზმნის მაგივრად აკითხვინებს ფორმის გამოყენება, რომელიც სულ სხვა რაიმეს აღნიშნავს: მაგ:

პაპისეული ლოცვანები გამოჩხრია, დილასა და სალამოს ჟამს აკითხება... (ც. გამხან.).

აკითხებს (აკითხა, უკითხებია) არის: წასაკითხად აძლევს, კითხვის ავალებს, სთხოვს წაიკითხოს.

აკითხვინებს (აკითხვინა, უკითხვინებია) კაუზატივია ჰქითხავს, იკითხავს ზმნისა. — ავალებს ჰქითხოს, იკითხოს (ამბავი აკითხვინა). მოქველებული მნიშვნელობაა სთხოვს უმკითხაოს.

პარონიმებად შეიძლება განვიხილოთ ზოგი სხვა ზმნის ფორმებიც. კერძოდ, იწყებს და იწყობს ზმნები, აგრეთვე იცხებს — იცხობს და მათი მსგავსი ფორმები, რომლებსაც განსხვავებული თემის ნიშნის გარდა განსხვავებული შინაარსიც აქვთ.

დაწყება და დაწყობა სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით იხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

დაწყება — პირველად შედგომა, ხელის მოკიდება რაიმე საქმი-სათვის, დასაბამის მიცემა, წამოწყება; დასაბამი, სათავე, დასაწყისი.

ამ ზმნის სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმებია იწყებს (დაიწყებს, დაიწყო), უწყებს (დაუწყებს, დაუწყო). დრო-კილოთა მესამე ჭგუფის ფორმები მათ ერთნაირი აქვთ: დაუწყია, დაეწყო, დაეწყოს.

დაწყობა — 1. მოწესრიგებულად დადება ან დადგმა ბევრისა, დალაგება;

2. საბრძოლო წყობით გაშლა, მწყობრში დაყენება, დარაზმვა, განლაგება;

3. მოგვარება, მოწყობა;

4. ტექნ. დაგება (მაგალითად, რელსებისა).

ძირითადი მნიშვნელობით ეს ზმნა სხვადასხვა ქცევის ფორმით

გვხვდება: აწყობს (დააწყობს, დააწყო, დაუწყვია); იწყობს (დაიწყობს, დაიწყო, დაუწყვია); უწყობს (დაუწყობს, დაუწყო, დაუწყვია). დროკილოთა III ჯგუფის ფორმები ომონიმურია: დაუწყვია, დაეწყო, დაეწყოს ფორმები საერთოა სამივე ქცევისათვის.

ამავე დროს დროკილოთა III ჯგუფის ფორმათაგან II თურმეობითისა და III კავშირებითის ფორმები ომონიმურია იწყებს, უწყებს ზმნის შესაბამისი ფორმებისა, განსხვავებულია მხოლოდ I თურმეობითის ფორმები: დაუწყვია (იწყებს ზმნისა), და დაუწყვია (იწყობს ზმნისა). თურმეობით I-ში გამოჩენილი ეს ვ'ინი ჩანს ნამყო სრულის ფორმებშიც: დავაწყვე, დაწყვე..., დავაწყვეთ, დააწყვეთ, დააწყვეს. ნამყო სრულის მხოლობითი რიცხვის III პირში და II კავშირებითის ფორმებში ვ'ინი აღარ ჩანს პოზიციურად - მ ხმოვნის წინ.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დასტურდება ამ განსხვავებულად სახმარ ფორმათა აღრევის შემთხვევები. ერთი მხრივ, ეს აღრევა დიალექტურადაც შეიძლება შეფასდეს, რამდენადაც ზოგ დიალექტში იწყობს ზმნას აქვს იწყებს ზმნის შინაარსიც, და ამდენად, ამ დიალექტური მოვლენის საფუძველი, საერთოდ, დიალექტებში - ებ და -ობ ზმნურ სუფიქსთა მონაცვლეობა შეიძლება იყოს.

მაგალითად:

ს წავლება დღემდე ორ დაუწყვიათ რაიუნგანის... და ჩეა საშუალო სკოლის სახალხო კონტროლის ჯგუფებს („გამარჯვების დროშა“). ეტობუსში დაკარგე საფულე... ძებნა ორ დამიწყვია (იქვე).

ცხადია, აქ ორივეგან იწყებს ზმნის I თურმეობითის ფორმების გამოყენება იყო საჭირო: დაუწყვიათ, დამიწყვია.

მაგრამ, მეორე მხრივ, გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც, როცა მოსალოდნელია ვ'ინიანი ფორმა და არის კი უმისოდ:

ამ დღემდებში მათ ქარხანა „ელექტრონრავაში“ მოაწყეს ზეპირი ეურნალის მოხივი გამოშევება („თბილისი“). სპექტაკლის წარმატებას ხელი შეუწყეს საქართველოს სახალხო არტისტის ლ. თურმანიძის [და სხვათა] მიერ შექმნილმა სახეებმა („კომუნისტი“) მეურნეობაში ბოლო წლებში მოაწყეს 70 საბაგირო გზა („კომუნისტი“).

ასეთი ხმარების საფუძვლად დიალექტური მოვლენა აღარ ჩანს. ესაა იწყებს და იწყობს ზმნების პარონიმის შედეგი.

ასევე განსხვავებულად უნდა ვიხმაროთ აცხებს და აცხობს ზმნების ფორმები. დიალექტური აღრევის საშიშროება აქაც არის, აცხობს ზმნას დიალექტებში აქვს აცხებს ზმნის შინაარსიც. სწორედ ამიტომაც, რაკი აღრევის საშიშროება მეტია, საჭიროა მათი გამოყენებისას სიინიზლე. აცხებს ზმნისთვის სალიტერატურო ქართულას სწორი

ფორმები იქნება: მოაცხებს (წააცხებს), მოაცხო (წააცხო), მოუცხია (წაუცხია).

ნამყო სრულის ყველა პირის ფორმებია:

- |          |            |
|----------|------------|
| მოვაცხე  | (წავაცხე)  |
| მოაცხე   | (წააცხე)   |
| მოაცხო   | (წააცხო)   |
| მოვაცხეთ | (წავაცხეთ) |
| მოაცხეთ  | (წააცხეთ)  |
| მოაცხეს  | (წააცხეს)  |

აცხობს ზმნისთვის კი სწორი იქნება ამგვარი ფორმები: გამოაცხობს, გამოაცხო, გამოუცხვია. ნამყო სრულში: გამოვაცხვე, გამოაცხვე, გამოაცხო; გამოვაცხვეთ, გამოაცხვეთ, გამოუცხვეს.

შეიქმნა ზმნა თანამედროვე ქართულში ხშირად იხმარება გახდა, გადაიქცას მნიშვნელობით. სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით მისი ამგვარი ხმარება უმართებულია. ამგვარი მნიშვნელობით უფრო ბუნებრივია შეიქმნა ზმნა, მაგრამ უფრო მართებულია, სულაც სხვა, გახდა ზმნა ვიხმაროთ.

უცებ თითქოს ყველაფერი ნათვლი შეიქმნა ჩემთვის („ლიტ. საქ.“). ალბათ საჭირო შეიქმნება ბა გაღამწყვეტი ლონისძიებების გატარება („ლიტ. საქ.“). თამაშის პირველი წუთებიდანვე ცხადი შეიქმნა... („გამარჯვ. დროშა“). მაგრამ შეუძლებელი შეიქმნა ნიაღვარივით მოღვაწილი ღამპყრობლების შეჩერება („განთიად“, ვანი). ყიზილბაშურს სახელმწიფოს აღმოცენებამ... საქართველოს გარშემო შეკრა ბარაბაროსული გარემოცვის დაშული წრე, რომლის გადალახვაც საქართველოს საკუთარი ძალებით შეუძლებელი შეიქმნა („კომ.“).

ყველა დასახელებულ მაგალითში შეიქმნა ზმნა არასწორადა ნახმარი შეიქნას მაგიერ. მაგრამ ამ უკანასკნელის გამოყენებასაც, როგორც ზემოთ ითქვა, აჭობებდა გახდა; ნათელი გახდა, საჭირო გახდება, ცხადი გახდა, შეუძლებელი გახდა... შესიტყვებები უფრო გამართული და ბუნებრივია. ნათელი შეიქნა, შესაძლებელი შეიქნა... ტიპის გამოთქმებმა გამომსახველობა დაკარგეს, შტამპებად იქცნენ და შეიძლება ამიტომაც გვეჩვენება ისინიც უაღილოდ.

შეიქმნა — შეიქნა ზმნის ფორმების გამოყენებისას აღრევა პარონიმიად შეიძლება ჩავთვალოთ. ისინი დაახლოებით ერთნაირი მნიშვნელობისანი არიან, მაგრამ მათი გამოყენების სფეროები, როგორც დასახელებული მაგალითებიდანაც გამოჩნდა, გამიჯნულია. უაღილოა აგრეთვე ქნა ზმნის მაგიერ ქმნა ფორმის გამოყენება შემდეგ მაგალითში: „ქართველმა ქალმა ისე ჰქმნა, როგორც ინდომა“ („სამშობლო“).

ქართულში ერთი საერთო ძირიდან მომდინარე ჩანს ზმნის ფორმები: ჩ-ან-ს, ა-ჩ-ენ-ს, ა-ჩნ-ევ-ს, ა-მ-ჩ-ნ-ევ-ს. ამ უკანასკნელში მ-ა-ვ-სართო გახენილად ივარაუდება. ზმნათა ამ ფორმებს გამოყენების ა-ვისი სფეროები აქვს განსხვავებული შინაარსის გამო. მაგრამ ზოგჯერ ფორმათა მსგავსება იწვევს პარონიმიას. ირევა, ერთი მხრივ, აჩენს - აჩნევს ზმნები და, მეორე მხრივ, აჩნევს — ამჩნევს.

აჩენს — აჩნევს ზმნების აღრევის შედეგი ჩანს ასეთი შემთხვევები:

პოლიტიკურ ცხოვრებასაც თავის დაღს აჩენენ („ახ. კომ.“). თავის წერილში ჩამოთვლის იმ დარგებს, რომლებსაც ლრმა კვალი დამჩნა გ. წერეთელმა („შიგნის სამყარო“).

უნდა იყოს: დაღს აჩნევს, დაღი დააჩნია, დაღი დაუჩნევია...

აჩნევს — ამჩნევს ზმნების აღრევის შედეგი უნდა იყოს ამგვარი ხმარება:

საზოგადოების საერთო ლონეს ცვლილებას ვერ დაამჩნევს („ლიტ. ხაქ.“). სტარტზე წაგებამ დაღი დაამჩნია მის სატურნირ მღვმარებელს („ახ. კომ.“). ჩემს შედნიურებას ყოველთვის ჩრდილს აყენებს იმ მოშუშებელი ჭრილობა, რომელიც დედამიწა ჩემს სულს დაამჩნია („ხაქ. ქალია“). ყინვამ კვალი ვერ დაამჩნია ბრიგადის ზეარს („იგრ. განო.“).

აჩნევს ზმნა და ზმნისწინით უფრო იხმარება: დააჩნევს, დააჩნია, დაუჩნევია. მისი სტატიკური ფორმა იქნება აჩნია ან აჩნევია.

ამჩნევს ზმნასთან კი ჩვეულებრივია შე-ზმნისწინის ხმარება: შეამჩნევს, შეამჩნია, შეუმჩნევია.

აჩნევს და ამჩნევს ზმნათა გამოყენების სფეროები არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ, როცა ამჩნევს (დაამჩნევს), დაამჩნია ფორმებია გამოყენებული აჩნევს, დააჩნია ფორმების მაგივრად, იგრძნობა ასეთი შინაარსის წინ წამოწევის სურვილი: შესამჩნევს ხდის, შესამჩნევი გახადა. ამით შეიძლება აიხსნას ასეთი გამოყენება:

თოვლას და მრვერზე ყველა დაამჩნევს კვალს ნაფეხურების სახის („ცისხარი“). ეს ყველაფერი მწერალს მეტწილად ზომიერად, საჭიროებისამებრ აქვს გამოყენებული და ულექტურობის დაღს არ ამჩნევს ნაწარმოებს („ცისხარი“). მიმღები პუნქტის გამგემ, რომ ვკითხე, სუფრას ლაქები რად ამჩნევ ვიამეტები, თავაზიანად ამიხსნა... („ხაქ. ქალია“).

უფრო ზუსტი იქნებოდა ყოფილიყო შესაბამისად: დააჩნევს კვალს, დაღს აჩნევს, ლაქები აჩნია ან აჩნევია. სჭობს და საჭიროა გაიმიჯნოს აჩნევს და ამჩნევს ზმნათა გამოყენება.

9 ფ. ერთეული შვილი 10 გვილი, ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ., 1970, გვ. 107.

ამგვარად, პარონიმია ფართო ენობრივი ფაქტია და, როგორც ენის სხვა ფაქტები, ისტორიული მოვლენაა. იგი დამახასიათებელია ენის განვითარების მთელი პროცესისათვის. პარონიმიის მიზეზიც და შედეგიც სხვადასხვანაირია სხვადასხვა შემთხვევაში. შეიძლება სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები იქცნენ პარონიმებად და შემდეგ მათი გამოყენებისას გვქონდეს პარონიმია (სიჭაბუკე — ჭაბუკობა, უებარი — უებრო, ახლობელი — მახლობელი და მისთ.). სინონიმი სიტყვები მაშინ აღმოჩნდებიან პარონიმები, როცა სიტყვახმარების თვალსაზრისით ერთის მნიშვნელობა განსხვავებული აღმოჩნდება მეორისაგან. თუ ამ განსხვავებულობას ვერ ან არ გავითვალისწინებთ, შედეგად შეიძლება მივიღოთ პარონიმია, როგორც ამ შემთხვევაში უარყოფითი ენობრივი მოვლენა.

შესაძლებელია, ენაში მოხდეს ამის საპირისპირო პროცესიც: პარონიმი სიტყვები იქცნენ სინონიმებად. ასე დაემართა ქართულში, მაგალითად, ზოგიერთ სიტყვას: მოვალე — მევალე, საცოლო — საცოლე, განაჩენი — განჩინება, აჩნევს — აჩნევს, აჩენს — აჩნევს და მისთ. ეს პროცესი ჯერ სასაუბრო ენის ფაქტი უნდა ყოფილიყო და მერმე ქცეულიყო წიგნური ენის ფაქტადაც. მაიც სასურველია წიგნის ენა ასეთ ფაქტებს მეტი სიფრთხილით მოეპყროს და ერთი ძირიდან განსხვავებულად ნაწარმოებ სიტყვებს შეუნარჩუნოს ის შინაარსობრივი ნიუანსები, რაც ივარაუდება ისტორიულად.

ჩვეულებრივად, პარონიმები ერთი ძირიდან სხვადასხვა აფიქსებით ნაწარმოები სიტყვებია, მაგრამ არაიშვიათად განსხვავებული წარმომავლობის სიტყვებიც შეიძლება იქცნენ პარონიმებად. მაგ.: აღქმა და ალთქმა.

უფრო ადვილი გამოსავლენი და მოსავლელია უცხო სიტყვათა პარონიმია. უცხო სიტყვათა ლექსიკონების საშუალებით პარონიმუცხო სიტყვათა მნიშვნელობების გათვალისწინება დაგვეხმარება ასეთ შემთხვევაში პარონიმიის თავიდან ასაცილებლად.

სხვა შემთხვევებში კი მარტო ჩვეულებრივი განმარტებითი ლექსიკონები ვერ გვიშველის. საჭირო ხდება ნორმატიული ხასიათის საცნობარო ლექსიკონების, სინონიმების, ომონიმების, ანტონიმების, პარონიმების, ფრაზეოლოგიური თუ ტოპონიმიკური ლექსიკონების მონაცემების გათვალისწინებაც. ნორმატიული ლექსიკონები ძნელ ან საეჭვო შემთხვევებში უნდა დაეხმაროს დაინტერესებულ მკითხველს, მოსალოდნელი შეცდომისაგან დაიცვას, გამოუსწოროს მისი მეტყველებისათვის დამახასიათებელი არალიტერატურული ჩვევა<sup>10</sup>.

<sup>10</sup> Скворцов Л. И., Теоретические основы культуры речи, М., 1980, 33. 286—336.

როცა პარონიმი სიტყვების მნიშვნელობები კარგად ვიცით, შეიძლება პარონიმია ენის გამომსახულელობით ხერხადაც გამოყიუენოთ, განსაკუთრებით, მხატვრულ მეტყველებაში, პოეზიაში. პარონიმი სიტყვების კალამბურულად გამოყენება დადებით მოვლენად აღიქმება, თუ გათვალისწინებულია და არ არის დამახილებული პარონიმი სიტყვების მნიშვნელობები.

პარონიმიაზე საუბრისას არ შეიძლება არ გაგვახსენდეს პარონომაზია (ბერძნ. *parōnōtasia* <para+onoma+zō>). ასე უწოდებენ სტილისტიკურ საშუალებას, რომლის დროსაც ერთმანეთის გვერდით გამოყენებულია ეტიმოლოგიურად ან მხოლოდ ფორმობრივად მსგავსი სიტყვები. მითითებულია ასეთი შემთხვევები: იн не глух, а глуп; „муж по дрова, жена со двора“ და სხვ.<sup>11</sup> ქართული მასალიდან ამის მაგალითად გამოდგებოდა ამგვარი განმანათქვამები: „როგორიც ბერიო, ისეთი ერიო“; „როგორიც გააჩენს, ისე დააჩენს“ და სხვ. ძველ ქართულში პარონომაზის მაგალითებად მითითებულია ამგვარი შემთხვევები: სიკუდილით მოჟუედინ, აკურთხე კურთხევით, კითხვით მკითხვიდა და მისთ.<sup>12</sup>

თანამედროვე სასაუბრო ქართულშიც გამოიყენება პარონომაზის ამგვარი ფორმები: წასვლით არ წავსულვარ, მაგრამ...; სიკვდილით არ მოვმკვდარვარ, მაგრამ დიდი უბედურება გადამხდა; სიცილით ბევრი ვიცინეთ და მსგავსი. ამგვარი გამოთქმების სტილისტიკური ფუნქცია საკვლევია.

ცხადია, პარონომაზია სულ სხვა ენობრივი მოვლენაა. ამ დროს წარმოშობით ან შემთხვევით მსგავსი (უმეტესწილად შემთხვევით მსგავსი) სიტყვები ერთმანეთის ახლოსაა ნახმარი. ეს სტილისტიკური ხერხია და არა შეცდომა, თუმცა ამგვარი გამოყენებისას მოსალოდნელია პარონიმიაც. პარონომაზია ძირითადად გალაბურებში გამოიყენება.

ენაში არსებული პარონიმი სიტყვების გამოვლენა ადვილი არ არის. თუ სიტყვათა პარონიმული ხმარების ფაქტი არ არის შენიშნული, ისე მათს პარონიმიაზე საუბარი და პარონიმი სიტყვების გამოყოფა გაჭირდება. თეორიულად შესაძლებელია ძალიან ბევრი ნასესხები სიტყვის გამოყოფა პარონიმულ წყვილებად. მაგ.: ემიგრანტი და იმიგრანტი, ექსპონატი და ექსპონენტი, ესკადრი — ესკადრონი — ესკად-

<sup>11</sup> Марузо Ж. Словарь лингвистических терминов, М., 1960, гл. 202; Ахманова О. С., Словарь лингвистических терминов, М., 1969, гл. 313; Вишнякова О. В., К вопросу о паронимах, «Русский язык в школе», № 3, 1964, гл. 88—89.

<sup>12</sup> ქ. წ 6 6 თ ე ლ ი, პარონომაზია ქართულში, იქ 6 VI, 1954, гл. 461—499.

რილია, ესთეტიკური — ეთიკური, ფერმა — ფირმა, ბუქარესტი — ბუდაპეშტი, ფლორა — ფაუნა, ლანცეტი — პინცეტი, პროექტი — პროსპექტი, ასპექტი — კონსპექტი და სხვ. მაგრამ, სანამ მათი გამოყენებისას აღრევის შემთხვევა არ შეგვეცველრია, მათ პოტენციურ პარონიმობაზე ყურადღების გამახვილებამ შეიძლება საპირისპირო შედეგიც კი გამოიღოს და შეცდომას შეუწყოს ხელი. პარონიმების ლექსიკონის შედგნაც დარღვევის მაგალითების ჩვენების გარეშე უსარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს. პარონიმების ლექსიკონში პარონიმ სიტყვათა ეტიმოლოგიური და ფორმობრივი დახასიათების გვერდით უნდა იყოს მოცემული მათი პარონიმული ხმარების შემთხვევებიც, თუნდაც ისინი მოსწავლეთა თუ აბიტურიენტთა ნაშერებში დადასტურებული ერთეული შემთხვევები იყვნენ ამ რიგისა: ობიექტივი — ობიექტი, სპარტაკული — სპარტანული, ნაციზმი — ნაციონალიზმი, დეტექტიური — დიდაქტიური, აცტეკების — ასკეტიზმის და მისთ.<sup>13</sup> ნაბეჭდ პროდუქციაშიც ამ რიგის თუნდაც კორექტურული შეცდომა არ უნდა დარჩეს კურადღების გარეშე.

<sup>13</sup> მაგალითები მოგვყავს უურნალიდან „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“ № 2, 1978, გვ. 134—135.